მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქალაქი რუსთავი

11 ოქტომბერი 2022 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20; ს/ნ 216433287) (შემდგომში მერია) წარმოდგენილი მერის - ნინო ლაცაბიძის სახით, მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოქსიგენი რუსთავი 2022“ (ს.კ 416368157) წარმოდგენილი მისი მერის - დირექტორის ლაშა ნოზაძის (პ.ნ 35001039491) სახით (შემდგომში მხარეები) ერთობლივი ინიციატივის განხორციელების კუთხით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (შემდგომში - მემორანდუმი) გაფორმებაზე, შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი:

1. მუნიციპალიტეტში საფესტივალო სივრცის მოწყობა.

2. ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურის, ხელოვნების და სპორტის პოპულარიზაცია;

მუხლი 2. მხარეთა თანამშრომლობა

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისათვის ახალი შემოქმედებითი სივრცეების შექმნა, ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურის, ხელოვნების და სპორტის პოპულარიზაცია და შესაბამისი საფესტივალო სივრცის მოწყობა/განვითარება.

2. ა(ა)იპ „ოქსიგენი რუსთავი 2022“ „ფესტივალი ოქსიგენის“ ფარგლებში უზრუნველყოფს:

2.1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალებისათვის საფესტივალო სივრცის მოწყობას;

2.2. სხვადასხვა შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მხარდაჭერას;

2.3. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით საფესტივალო სივრცეში შესაბამისი გარემოს შექმნას.

2.4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე „ფესტივალი ოქსიგენის“ შეუფერხებლად ჩატარებას.

3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი „ფესტივალი ოქსიგენის“ ფარგლრბში უზრუნველყოფს:

3.1. საფესტივალო სივრცის გამოყოფას;

3.2. ფესტივალის ტექნიკურ მხარდაჭერას და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

4. ფესტივლის მიმდინარეობისას მხარეები წინასწარ თანხმდებიან უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

5. ფესტივლის მიმდინარეობისას მხარეები წინასწარ თანხმდებიან საფესტივალო სივრცის მოვლა-პატრონობა და დასუფთავებაზე;

6. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებებთან და აქტივობებთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების პირობები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

2. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) დღის შემდეგ.

მუხლი 4. დამატებითი დებულებები

1. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ხელმომწერი მხარეების წერილობით შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელი ნაწილიამემორანდუმი.

2. შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითო მხარეს.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერია
ს/ნ №216433287
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20

ნინო ლაცაბიძე
ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი

ა(ა)იპ „ოქსიგენი რუსთავი 2022“
ს/ნ №216433287
მის: ქ.რუსთავი, ვლადიმერ მესხიშვილის
ქუჩა, N 11, ბინა 132

ლაშა ნოზაძე
დირექტორი